ხელშეკრულება №ჟ-3/75 / DC-2

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი **26.09.2017 წ.**

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **„გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა“** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი გენერალური დირექტორის **ლია ძიძიგურის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „რადიაციული ტექნოლოგიების და უსაფრთხოების ცენტრი“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **ლერი მესხის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად (დაფინანსების წყარო: „შემსყიდველის“ 2017 წლის საკუთარი შემოსავლები), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია: (CPV72212730) კომპიუტერული პროგრამა DozCalc (შემდგომში „პროგრამული პროდუქტი“).

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს საკუთრებაში გადასცეს შემსყიდველს კომპიუტერული პროგრამა DozCalc(შემდგომში „პროგრამული პროდუქტი“), რომელიც განკუთვნილია სამედიცინო რენტგენოგრაფიული გამოკვლევების დროს პაციენტის ეფექტური დოზის გამოთვლისთვის და პაციენტის დოზური დატვირთვის ბარათის შემდგომი შევსების და ბეჭდვისთვის.

1.3. აღნიშნული ხელშეკრულებით არ გადაიცემა „პროგრამული პროდუქტი“–ს საავტორო უფლებები, გარდა შემსყიდველის მიერ მისი გამოყენების უფლებისა აღნიშნული ხელშეკრულების პ.1.2-ში განსაზღვრული მიზნების თანახმად. პროგრამული პროდუქტის საავტორო უფლებები ეკუთვნის მიმწოდებელს.

1.4. შეძენილი „პროგრამული პროდუქტი“ გამოიყენება საკუთარ სამეურნეო საქმიანობაში.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1 180.00 (ერთი ათას ასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

2.2. პროგრამული პროდუქტის, რომელიც გაიყიდება წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მოდიფიკაციების რაოდენობა და მათი ღირებულება განისაზღვრება ამავე **ხელშეკრულების N1** დანართით.

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისთვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა შესაბამის გადასახადს (მათ შორის დღგ).

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

3.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისთვის საჭირო ყველა სხვა შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედ, მომსახურების სტანდარტებს.

- პროგრამული პროდუქტის საგარანტიო ვადაა ორი თვე.
- საგარანტიო ვადა იწყება პროგრამული პროდუქტის შემსყიდველზე გადაცემის მომენტიდან. შემსყიდველზე პროგრამული პროდუქტის გადაცემის ფაქტი ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.
- თუ შემსყიდველი ვერ სარგებლობს პროგრამული პროდუქტით მიმწოდებელზე დამოკიდებული ვითარების გამო, საგარანტიო ვადა არ მიმდინარეობს გამყიდველის მიერ ვითარების აღმოფხვრამდე. საგარანტიო ვადა გრძელდება იმ დროით, რა დროითაც პროგრამული პროდუქტი ვერ გამოიყენებოდა მასში აღმოჩენილი ნაკლოვანებების გამო, მიმწოდებლის ამ ნაკლოვანებების თაობაზე შეტყობინების შემთხვევაში 5 დღის ვადაში.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამული პროდუქტის საგარანტიო თანხლება პროგრამული პროდუქტის გადაცემის დღიდან ორი თვის განმავლობაში.

6.3 პროგრამულ პროდუქტში ცვლილებების შეტანა ხორციელდება შემსყიდველის მიერ „პროგრამული პროდუქტი"–ს მუშაობაში შეცდომები/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში საგარანტიო თანხლების ვადებში მიმწოდებლის მიერ აღმოჩენილი შეცდომების ჩამონათვალის დართვით, ოფიციალური მიმართვის საფუძველზე.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლიდ აღმოფხვრას შეცდომები, თუ ისინი აღმოჩენილ იქნა პროგრამულ პროდუქტში.

6.5 ამასთან ერთად კრიტიკული შეცდომები, რომლებიც ხელს შეუშლის პროგრამული უზრუნველყოფის ექსპლუატაციას, აღმოიფხვრება შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან შემდგომი 5 დღის ვადაში.

6.6 არაკრიტიკული შეცდომები აღმოიფხვრება შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

6.7 შემსყიდველის მიერ შეცდომების/ხარვეზების, კრიტიკული შეცდომების, აღმოჩენის შემთხვევაში, აგრეთვე შემსყიდველის მიერ რეკომენდაციების ან პროგრამულ უზრუნველყოფაში ახალი ფუნქციების გაჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს წერილობით დირექორის სახელზე ფოსტით ანელექტრონული ფოსტით.

6.8 წერილში უნდა იყოს მითითებული კლასიფიკაცია:

- არაკრიტიკული შეცდომები;
- კრიტიკული შეცდომები;
- რეკომენდაციები;
- პროგრამული უზრუნველყოფის ახალი ფუნქციები.

6.9 მიმწოდებელი ვალდებულია უპასუხოს შემსყიდველს წერილობით 10 დღის განმავლობაში, და კრიტიკული შეცდომების შემთხვევაში (დღე-ღამის 24 სთ) განმავლობაში.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

7.1 „მიმწოდებელთან~ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

7.2 წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

7.3 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან (მ.შ. ტრანსპორტირებასთან) დაკავშირებულ ყველა ხარჯს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

7.4 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

7.5 ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაციის, წარმოდგენის თარიღიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

7.6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N21.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.1.2 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.1.3 უარი თქვას უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიღებაზე.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. გადაიხადოს პროგრამული პროდუქტის ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

8.2.2. იმ შემთხვევაში თუ "შემსყიდველი" კანონის, სხვა სამართლებრივი აქტების, ან წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევით არ მიიღებს პროგრამულ პროდუქტს ან უარს განაცხადებს მის მიღებაზე, მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ხელშეკრულების შესრულებაზე და მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება (ხელშეკრულების საფასურის 25%), რომელიც მას მიადაგა შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის შედეგად. ხოლო თუ გამყიდველი არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით, მიმწოდებელი ვალდებულია მყიდველს გადაუხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საფასურის 25%-ის ოდენობით, ასევე უკან დაუბრუნოს მყიდველის მიერ მისთვის გადარიცხული თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.2.3. მიმწოდებლის მიერ პროგრამული პროდუქტის შემსყიდველზე გადაცემის უარის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს წინამდებარე ხელშეკრულების შეზრულებაზე და მოითხოვის ზარალის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის შედეგად.

8.2.4. შემსყიდველი ვალდებულია მკაცრად მისდევდეს და არ დაარღვიოს პროგრამული პროდუქტის გამოყენების წესები.

8.2.5. შემსყიდველი ვალდებულია არ გაავრცელოს პროგრამული პროდუქტის ასლები.

8.2.6. ვალდებულია გამოუყოს მიმწოდებელს სამუშაო ადგილები პროგრამული პროდუქტის დასაყენებლად, რომლებიც დააკმაყოფილებს აუცილებელ პირობებს. გამყიდველი ვალდებულია შემსყიდველის თანამშრომლებს შეასწავლოს პროგარმული პროდუქტით სარგებლობის წესები და შემდგომში დაეხმაროს მუშაობის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრაში.

8.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.3.1 მოსთხოვოს„შემსყიდველს“ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.4.1 გააფრთხილოს„შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის შეფერხების შესახებ.

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

9.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებული ვალდებულების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.7 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს „მიმწოდებელს“ საურავი, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - მიუწოდებელი (დარჩენილი) შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,02 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.

9.8 შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების 5.1. მუხლის დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან განახორციელოს იმ დროისთვის არსებული პირგასამტეხლოს თანხის დაკავება და გადარიცხვა შესაბამის ანგარიშზე.

9.9 9.8 მუხლის გამოუყენებლობა შემსყიდველს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისგან პირგასამტეხლოს გადახდა.

9.10 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს „შემსყიდველს“ საურავი, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - კონკრეტულ ეტაპზე გაწეული მომსახურების შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,02 პროცენტის ოდენობით.

9.11 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არშესრულების ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

9.12 იმის გამო,რომ პროგპრამული პროდუქტის ფუნქციონალობა ინდივიდუალურია გარკვეული რენტგენოგრაფიული მოწყობილობებისადმი, რომელიც აღწერილია პროგრამული პროდუქტის მთავარ ფანჯარაში, გამყიდველი არ აგებს პასუხს სამედიცინო რენტგენოგრაფიული გამოკვლევების დროს პაციენტის ეფექტური დოზის გამოთვლისთვის პროგპრამული პროდუქტის მუშაობაზე იმ მოწყობილობებზე, რომლებიც არ შეესაბამება პროგრამულ პროდუქტს.

9.13. პროგრამული პროდუქტი წარმოდგენილია „როგორც არის“ ფორმით. შემსყიდველისთვის ცნობილია პროგრამული პროდუქტის ფუნკციონალური თვისებები და მას ეკისრება პასუხისმგებლობა საკუთარი სურვილების და მოთხოვნების პროგრამულ პროდუქტთან შესაბამისობის რისკზე. გამყიდველი არ აგებს პასუხს რაიმე ზარალზე, მისი წარმოქმნის მიზეზების მიუხედავად (მათ შორის განსაკუთრებული, შემთხვევითი ან ირიბი ზარალი, რომელიც დაკავშირებულია არმიღებულ დამატებით შემოსავალთან, საქმიანი ინფორმაციის დაკარგვასთან, გაუფრთხილებლობასთან, ან რაიმე სხვა ზარალი), რომელიც წარმოიქნა პროგრამული პროდუქტის გამოყენების ან მისი გამოყენების შეუძლებლობის შედეგად.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არ დაიშვება ხელშეკრულების პირობებში (მათ შორის ისეთ არსებით პირობებში, როგორიცაა ხელშეკრულების საგანი, ერთეულის ფასი, ვადა და ა.შ) ცვლილება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

10.2 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობისას, ის მხარე, რომელსაც სურს ცვლილების შეტანა, ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე.

10.3 ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია არ დაეთანხმოს შეთავაზებულ წინადადებას ცვლილების შესახებ.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დამატებითი შეთანხმებისსახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11.3 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.6 წინამდებარე მუხლის 11.3 და 11.5 ქვეპუნქტებში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი

უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს გენერალური დირექტორის მიერ გამოყოფილი პირები.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ „შემსყიდველი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს„მიმწოდებელს“. შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ ვალდებულია ზეპირი შეტყობინებიდან არაუმეტეს 3 (სამი) დღის ვადისა, წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ შესყიდვის ობიექტის ნაკლის შესახებ.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. პროგრამული პროდუქტის გამოყენების შეზღუდვები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროგრამული პროდუქტის ან მისი ახალი ვერსიების გამოყენების უფლებები არ შეიძლება შემსყიდველის მიერ გადაეცესმთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირებს.გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

15.2 პროგრამული პროდუქტის არც შემსყიდველი, და არც მომხმარებელი არ არის უფლებამოსილი მიმწოდებლის წერილობითი თანხმობის გარეშე ნებისმიერი ხერხითშექმნას და გაავრცელოს პროგრამული პროდუქტის ეგზემპლარები ან მისი ვერსიები, ან შეიტანოს პროგრამული პროდუქტში ცვლილებები, გადააკეთოს პროგრამული პროდუქტი მიზნებისა და ხერხების მიუხედავად.

16. სხვა პირობები

16.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

16.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

16.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე, მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

16.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა, ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის, უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენება იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ, ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, საფოსტო გზავნილის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე, იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

მიმწოდებელი:

შპს „რადიაციული ტექნოლოგიების და უსაფრთხოების ცენტრი“

მისამართი: ქ. თბილისი, ლ. მიქელაძის ქ., 17

(ყოფ. აბულაძის ქ.30);

საიდენტიფიკაციო კოდი: 401949772

დირექტორი: **ლერი მესხი**

შემსყიდველი:

სსიპ " თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ.ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა "

მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ., №21

საიდენტიფიკაციო კოდი: 211 328 703

დირექტორი : **ლია ძიძიგური**

შპს „რადიაციული ტექნოლოგიების და
უსაფრთხოების ცენტრი“

დანართი N1

(ხელშეკრულება N DC-2, 26.09.2017წ.)

	მოდიფიკაცია	ცალობითი ღირებულება	რაოდენობა	თანხა დღგ-ს გარეშე (ლარი)	დღგ (ლარი)	თანხა დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
1	DozCalc-Diag.V.1.0. Rev.08.2017 (HF-1500RF, G-1350)	500	1	500	90	590
2	DozCalc-Diag.V.1.0. Rev.08.2017 (PLX100, G-2518)	500	1	500	90	590

შპს „რადიაციული ტექნოლოგიების და
უსაფრთხოების ცენტრი“
ს/კ: 401949772
დირექტორი: ლერი მესხი

სსიპ " თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის
გ.ჟვანიას სახელობის პედიატრიის
აკადემიური კლინიკა "
ს/კ: 211 328 703
დირექტორი : ლია ძიძიგური

გამყიდველი: _____

შემსყიდველი: _____